

# ვერსიის კატეგორიის შესახებ ქართულში

## თამარ მახარობლიძე

### 1. შესავალი

ქცევის კატეგორია ქართულში მრავალი სპეციალისტის კვლევის საგანი იყო. ამ თემაზე მუშაობდნენ: დ. ჩუბინაშვილი, ჰ. შუხარტი, თ. ყორდანი, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ნ. მარი, ა. შანიძე, გ. დეეტერსი, ბ. რუდენკო, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, ა. ჩიქობავა, ი. ქავთარაძე, ი. იმნაიშვილი, გ. მაჭავარიანი, კ. დოდაშვილი, ფ. ერთელიშვილი, კ. შმიტი, ვ. თოფურია, კ. ჩხენკელი, ნ. ანდლულაძე, ვ. ბოედერი, ჰ. ფოგტი, რ. ლაფონი, გ. ნებიერიძე, ა. ონიანი, გ. კლიმოვი, მ. სუხიშვილი, ა. ჰარისი, მ. დამენია, ჰ. არონსონი, ბ. ჯორბენაძე, ი. ტესტელეცი, ა. არაბული, მ. მაჭავარიანი, მ. სახოკია, რ. ასათიანი, ქ. ტუიტი, კ. ვამლინგი, ა. მარანცი, ჯ. ჰუიტი, ზ. სარჯველაძე, მ. ჩერჩი, დ. მელიქიშვილი, ლ. კვაჭაძე, შ. აფრიდონიძე, ი. მელიქიშვილი, თ. უთურგაძე, დ. ფხაკაძე, ნ. მეტრეველი, ნ. მაჭავარიანი, რ. ლაკროიქსი და სხვები.

კვლევის ასეთი დიდი ისტორიის მიუხედავად, ვერსიის კატეგორიასთან დაკავშირებით დღემდე არის აზრთა სხვადასხვაობა და რჩება რიგი აუხსნელი საკითხებისა. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ამ ზმნური კატეგორიის განსხვავებული მოდელები. სტატიაში ასევე მოცემულია ზემოხსენებული მორფოლოგიური კატეგორიის თავისებურებათა სისტემიზაციის ცდა.

„პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ქართულთან მიმართებაში საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები, როგორებიცაა სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ერგატივი, ნომინატივი, აბსოლუტივი და ა.შ. ტიპოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ გაუგებრობას აწყდება. ზოგი ავტორი ცდილობს ამ გაუგებრობისთვის თავის არიდებას“ [ჩერჩი 1971:1]. როდესაც საუბარია ქართული ზმნის აღწერაზე, ჩვენ ვაწყდებით გარკვეულ ტერმინოლოგიურ სირთულეებს, რადგანაც ქართული ტრადიციული ენათმეცნიერებისათვის კარგად ნაცნობი და პოლპულარული ტერმინები ხშირად უცხოა

ფართო საერთაშორისო ლინგვისტური აუდიტორიისათვის. ქართველი მეცნიერები გამოიყენებენ ტერმინებს: „პოლიპერსონალიზმი“, „ზმნის პირი“, „ზმნის პირიანობა“ და სხვ. ჰ. არონსონის კვალდაკვალ ქართული ზმნური კატეგორიების დახასიათებისთვის ჩვენ ვირჩევთ ქართულ ტერმინებს: „ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ შედარებით უჩვეულო, მაგრამ ზუსტ ტერმინებს...“ [არონსონი 1982:41]

## 2. ზოგადი ინფორმაცია ვერსიის კატეგორიის შესახებ

ვერსია არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს ზმნის პირთა ურთიერთმიმართებებს. ქართულ ზმნას შეუძლია პოსესიური მნიშვნელობების გადმოცემა. ვერსია უჩვენებს, თუ ვისკენ მიემართება, ვისი ან რისი ინტერესებისკენ არის ორიენტირებული ზმნით გამოხატული მოქმედება. ეს არის პოლიპერსონალური ზმნის კატეგორია. ჩვენ გამოვყავით ცალმხრივი, სტატისტიკური ლინგვისტური უნივერსალია – „**მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნას შეუძლია ვერსიის ზმნური პოსესიურობის გადმოცემა**“ [მახაროზიძე 2007:87; 2010:137]. ამ ზმნური კატეგორიის რეალიზაციისათვის საჭიროა რამდენიმე (ერთზე მეტი) ზმნის მორფოლოგიური პირი. ამდენად, ვერსიის კატეგორიისათვის მრავალპირიანობა აუცილებელი მოთხოვნაა [ჩიქობავა 1952:277-278, ონიანი 2003:126].

ვერსიის კატეგორიის ა. შანიძისეული განსაზღვრება გაზიარებულია ქართველი ენათმეცნიერების დიდი ნაწილის მიერ. ა. შანიძე ვერსიას ასევე უწოდებს „ქცევას“ და წერს, რომ სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვის გარდა, ქართულ ზმნას მოეპოვება დამატებითი საშუალება, რომ გამოხატოს შემდეგი მნიშვნელობანი:

A. პირდაპირი ობიექტი არ მიეკუთვნება არავის, არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული. ეს არის საარვისო ანუ ნეიტრალური ქცევა:

(1) სახლს ვ-ა-შენებ

B. პირდაპირი ობიექტი სუბიექტისთვისაა განკუთვნილი. ეს არის სუბიექტური ანუ სათავისო ქცევა:

(2) სახლს ვ-ი-შენებ

C. პირდაპირი ობიექტი ირიბისთვისაა განკუთვნილი. ეს არის ობიექტური ანუ სასხვისო ქცევა:

(3) სახლს ვ-უ-შენებ [შანიძე 1980:323]

ამდენად, შანიძის მიხედვით, ქართულში გვაქვს ვერსიის (ანუ ქცევის) სამი ფორმა და ეს კატეგორია გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობებს ზმნის პირთა შორის. კატეგორიის

ფორმათა გამოხატვა შესაძლოა იყოს ორი ტიპის: აღნიშნული ან აღუნიშნავი, ანუ რეფერენცირებული და არარეფერენცირებული.<sup>1</sup> ეს მოიაზრებს იმ გარემოებას, რომ ვერსია შეიძლება იყოს, ან არ იყოს გამონატული ზმნაში. საოპოზიციო ფორმათა შეპირისპირების საფუძველი არის მათი მორფოსემანტიკური შინაარსი და კუთვნილებით-დანიშნულებითი ანუ პოსესიურ-დესტინაციური კონტენტი.

ვერსიის ძირითადი თეორიული მოდელებია:

$$S \rightarrow \emptyset^2$$

სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედება ნეიტრალურია. ზმნური მოქმედების პოსესიური ვექტორი არ არის ვინმესკენ მიმართული, აღუნიშნავი ანუ არარეფერენცირებულია.

$$S \rightarrow O \text{ ind.}$$


სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედება ირიბი ობიექტისთვისაა დანიშნული

(და ხშირად ეს ობიექტი არის ზმნური მოქმედების მეორე სულიერი აქტანტი). ზმნის მოქმედების პოსესიური ვექტორი ირიბი ობიექტისკენაა ორიენტირებული და არის ექსტრავერტული [მაჭავარიანი 1987:54].

$$S \rightarrow S$$

სუბიექტი თავისთვისვე ასრულებს მოქმედებას. ზმნის მოქმედების პოსესიური ვექტორი სუბიექტისკენაა ორიენტირებული და არის ინტროვერტული [მაჭავარიანი 1987:54].

თეორიულად არსებობს ვერსიის კატეგორიის ოთხი ტიპის სემანტიკური ვარიანტი:



1 ვ. ბოდერი განასხვავებს „აღნიშნულ“ და „აღუნიშნავ“ („specified“ „non-specified“) ირიბ ობიექტს [ბოდერი 2003:36] ჩვენ კი ამ ტერმინებს უფრო ფართო მნიშვნელობით გამოვიყენებთ მთელი ამ კატეგორიისათვის – სუბიექტური ვერსიის ჩათვლით, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია ირიბი ობიექტი.

2 S არის სუბიექტი, O არის ობიექტი და ∅ არის ნული. Oind. არის ირიბი ობიექტი და Od. არის პირდაპირი ობიექტი.

1. პირველი ვარიანტი გვიჩვენებს, რომ სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედება შესაძლოა მიემართებოდეს (ირიბი) ობიექტისკენ, სუბიექტისკენ ან არავისკენ (ნულისკენ) ანუ არ იყოს გამოხატული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საარვისო, სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმებით წარმოდგენილი ეს სამგანზომილებიანი ვერსიის მოდელი ფართოდ არის მიღებული თანამედროვე ქართულ ენათმეცნიერებაში.

2. მეორე ვარიანტი გამოხატავს სქემას, როდესაც სუბიექტის მიერ შესრულებული მოქმედება შესაძლოა მიემართებოდეს (ირიბი) ობიექტისკენ ან სუბიექტისკენ. ზოგ ლინგვისტს მიაჩნია, რომ ქართულში სწორედ ასეთი მოდელი გვაქვს [ჩიქობავა 1950:058-059, დამენია 2003:73-90, ერთელიშვილი 1965, მაჭავარიანი 2006,]. ისინი განიხილავენ ქცევას ნეიტრალური ვერსიის გარეშე. „ნეიტრალური იმიტომ ჰქვია, რომ იგი არაფერს უმატებს ზმნის ძირითად მნიშვნელობას“ [ჭიუტი 2005:55]. ამ მიდგომის თანახმად, ნეიტრალური ვერ იქნება ვერსიის ფორმა, რადგანაც მას არა აქვს ამ კატეგორიის სემანტიკა, მხოლოდ სუბიექტური და ობიექტური ვერსიის ფორმები გვიჩვენებს კუთვნილებით-დესტინაციურ შინაარსს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერსიის გრამატიკული კატეგორიის ოპოზიციის სრულფასოვან წევრებად მხოლოდ სემანტიკურად რეფერენცირებული ანუ აღნიშნული ფორმებია მიჩნეული.

3. მესამე ვარიანტი მხოლოდ სუბიექტურ და ნეიტრალურ ვერსიას მოიცავს. ზოგ ენებში (მაგალითად, რუსული *pobriľsia* – გაიპარსა, *umil'sia* – დაიბანა, *pričesalas* – (თმა) დაივარცხნა; ესპანური *ponerse* – დადება, *levantarse* – ადგომა და სხვ.) ადგილი აქვს ზმნური რეფლექსივის მარკირებას და ამის საოპოზიციოდ მხოლოდ ნეიტრალური ფორმები გვაქვს. აქ არ არის ობიექტური ვერსია როგორც საოპოზიციო ფორმა.

4. ბოლო ვარიანტი მოიცავს მხოლოდ ობიექტური და ნეიტრალური ვერსიის ფორმებს. ეს ვარიანტიც შეიძლება ქართულისათვის იყოს მისაღები, თუ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სუბიექტური ვერსია ობიექტური ვერსიის განსაკუთრებული, სპეციფიკური ფორმაა [ნეზიერიძე 1976; ბოედერი 1968; ჰარისი 1981; მახარობლიძე 2007] „სათავისო ქცევა შეიძლება განვიხილოთ როგორც სასხვისო ქცევის ერთი კერძო შემთხვევა, სახელდობრ, ისეთი შემთხვევა, როდესაც სუბიექტსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე რეფერენციალური მნიშვნელობა აქვთ“ [ნეზიერიძე 1976:133]. გ. როგავას კვლდაკვალ [როგავა 1942:208], ნეზიერიძე ვარაუდობს, რომ სუბიექტური ვერსიის ნიშანსა და ობიექტური ვერსიის ი- ნიშანს შორის არის გენეტიკური კავშირი. იგი ასევე ვერსიის ნიშნებად მიიჩნევს ი- და ე- პრეფიქსებს ვნებით გვარში [ნეზიერიძე 1976:139].

ბოლო მეოთხე ვარიანტი არის გრამატიკული ოპოზიცია ნეიტრალური და ობიექტური ვერსიის ფორმათა შორის და აქ არ არის წარმოდგენილი სუბიექტური ვერსია. ეს მოდელი გვხვდება ბასკურ ზმნებში [მახარობლიძე 2007, 2010:5-70]. ქართულში გარდაუვალ ზმნებს ვერსიის მხოლოდ ეს მოდელი აქვთ, რადგანაც სუბიექტური ვერსია მხოლოდ ორპირიანი გარდამავალი ზმნებისათვისაა დამახასიათებელი.

ქართული ტრადიციული ენათმეცნიერული აზრის თანახმად, ზემოთ განხილული ვერსიის ოთხი შესაძლებელი ფორმიდან პირველი ვარიანტია ფართოდ მიღებული, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ქართულ ენას აქვს ვერსიის სამგანზომილებიანი მოდელი:

1. ნეიტრალური ვერსია ა- და Ø-. პრეფიქსებით:

(4) ვ-Ø-ხატავ

2. სუბიექტური ვერსია ი- პრეფიქსით:

(5) ვ-იხატავ

სუბიექტის მიერ ზმნური მოქმედება სრულდება ისევე სუბიექტისთვის. ეს არის ინტროვერტული სემანტიკის კატეგორიის ფორმა [მაჭავარიანი 1987:124].

3. ობიექტური ვერსია გადმოცემულია ი- პრეფიქსით პირველი და მეორე ირიბი ობიექტური პირებისთვის და უ- პრეფიქსით ირიბი ობიექტის მესამე პირისთვის. ობიექტური ვერსია გვიჩვენებს, რომ ზმნური აქტი სრულდება ირიბი ობიექტის ინტერესებისთვის. აქ გვაქვს ექსტრავერტული სემანტიკა [მაჭავარიანი 1987:124].

(6) ვ-იხატავ

(7) ვ-უხატავ

ვერსიის პრეფიქსული მარკერები მოსდევს პირის ნიშნებს და წინ უძღვის ზმნის ძირს [შანიძე 1980; ჩიქობავა 1950; ბოდერი 1968;2003, ჰარისი 1981; არონსონი 1982; ჯორბენაძე 1983]. როგორც აღვნიშნეთ, ეს მარკერებია ხმოვანი პრეფიქსები ა-, ი- და უ- (და ასევე ნულიც) ისინი ზმნის პირის ნიშნების შემდეგ იკავებენ ადგილს და ხშირად ამ პირის ნიშნებთან ერთად კომბინაციაში გადმოსცემენ ვერსიის ამა თუ იმ კონკრეტული ოპოზიციური ფორმის შინაარსს. მაგალითად, ი- პრეფიქსი არის ან სუბიექტური ან ობიექტური ვერსიის ნიშანი და ამ მარკერის კონკრეტული როლი მხოლოდ პირის ნიშნების მიხედვით დგინდება. სუბიექტურ ნიშნებთან გვაქვს სუბიექტური ვერსია და ობიექტურ წყობაში კი (სადაც ობიექტის პრეფიქსული მარკირებაა) იგივე ნიშანი არის ობიექტური ვერსიის მარკერი. უნდა აღინიშნოს, რომ ზმნური ხმოვანპრეფიქსების ირგვლივ მრავალი ღირებული კვლევაა ჩატარებული ზემოხსენებულ ავტორთა მიერ.

ვერსიის კატეგორიის მიმართება ზმნის პირიანობასთან გადმოცემულია ცხრილით:

**ცხრილი 1: ქცევა და პირიანობა**

ზმნის პირიანობა	გარდამავლობა	ვერსია
ერთპირიანი (მხოლოდ სუბიექტით)	გარდაუვალი	ნეიტრალური
ორპირიანი (სუბიექტით და პირდაპირი ობიექტით)	გარდამავალი	ნეიტრალური სუბიექტური (მხოლოდ III პირის პირდაპირი ობიექტით)
ორპირიანი (სუბიექტით და ირიბი ობიექტით)	გარდაუვალი	ნეიტრალური ობიექტური ვერსია
სამპირიანი (სუბიექტით, პირდაპირი და ირიბი ობიექტებით)	გარდამავალი	ნეიტრალური ობიექტური ვერსია
ოთხპირიანი (სუბიექტით, პირდაპირი ობიექტით და ორი ირიბი ობიექტით)	გარდამავალი (მხოლოდ კაუზატიური ფორმები)	ობიექტური ვერსია

### 3. ვერსიის ნიშნები გარდამავალი ზმნის III სერიაში

ვერსიის ფორმები ნათლად არის წარმოდგენილი გარდამავალ ზმნათა უღლებების ყველა მწკრივში კაუზატიური უღლებების ფორმათა ჩათვლით და მხოლოდ მესამე სერიაა გამონაკლისი. ამ სერიის ფორმებს არ გააჩნიათ ვერსიის გაგება, თუმცა მესამე სერიის გარდამავალი ზმნების ფორმები მხოლოდ ვერსიის ნიშნების საშუალებით იწარმოება. აქ წარმოდგენილი ქცევის ნიშნები ითვლება უფუნქციო ნიშნებად, რამდენადაც ამ ფორმებს არ მოეპოვება სათანადო სემანტიკური შინაარსი და არც შესაბამისი საოპოზიციო ფორმები. პირველი და მეორე სერიის ვერსიის განსხვავებულ ფორმებს მესამე სერიაში ერთი და იგივე ფორმა შეესებამება და ეს ფორმა დაცლილია ქცევის შინაარსისგან:

**ცხრილი 2: ქცევა სერიებში**

ვერსია	I სერია	II სერია	III სერია
ნეირტალური	ვ- <del>თ</del> -ხატავ	(და)ვ- <del>თ</del> -ხატე	(და)მ-ი-ხატავს
სუბიექტური	ვ-ი-ხატავ	(და)ვ-ი-ხატე	(და)მ-ი-ხატავს
ობიექტური	ვ-უ-ხატავ	(და)ვ-უ-ხატე	(და)მ-ი-ხატავს

მესამე სერიის ხმოვანპრეფიქსული ნიშნები უფუნქციოა [შანიძე 1980:338-339; არაბული 1984:39; ასათიანი 1987:200-202]. ქცევა ანუ ვერსია არის ირიბი ობიექტის კატეგორია, გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში კი ირიბი ობიექტი ზმნური მორფოლოგიიდან გადის:

I სერია

(8) მე (S) ვ-უ-ხატ-ავ დედა-ს (Oind.) სურათ-ს (Od.)

II სერია

(9) მე (S) და-ვ-უ-ხატ-ე დედა-ს (Oind.) სურათ-ი (Od.)

III სერია

(10) მე (S) და-მ-ი-ხატ-ავ-ს დედა-ის-თვის (O.) სურათ-ი (Od.)

გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში იკარგება ქცევის გაგება, მაგრამ ზმნა ინარჩუნებს ამ კატეგორიის ნიშნებს პოსესიურ-დესტინაციური კონტენტისათვის. ირიბი ობიექტი გადის ზმნის გარეთ და ხდება თვის-თანდებულისანი უბრალო დამატება (დედისთვის) და ასეთი ფორმით ეს აქტანტი ინარჩუნებს პოსესიურ-დესტინაციურ სემანტიკას. ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია აქტანტის პოსესიური სემანტიკა, მაგრამ შეცვლილია მორფოლოგიური სურათი. აქ პოსესიური სემანტიკა ირჩევს თანდებულის ფორმას (-თვის თანდებულით) და ამავდროულად ტოვებს ობიექტური ვერსიის ნიშნებს ზმნაში. ეს ნიშნები კი უფუნქციოდ მოიაზრება, რადგან რეალური მორფოლოგიური ირიბი ობიექტი ზმნაში აღარ არის.

საერთოდ, ენამ არ იცის უფუნქციო მარკერები. ნებისმიერი მარკერი სინქრონულად ან დიაქრონულად არის კონკრეტული ფუნქციის გამომხატველი. ფუნქცია კი შეიძლება შეიცვალოს ან დაიკარგოს. ფაქტია, რომ მორფემებს აქვთ მედლის ორი მხარე – კონკრეტული სემანტიკა და მათი რეფერირება ანუ გამომხატვა. როდესაც საუბარია უფუნქციო ნიშნებზე, უნდა ითქვას, რომ ენაში ასეთი ნიშნები ჩნდება კონკრეტული მორფოსემანტიკური ცვლილებების შედეგად. გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები არ არის მარტივი ფორმები მორფოსემანტიკური თვალსაზრისით. აქ ადგილი აქვს რამდენიმე კატეგორიის გადაკვეთას. აფიქსთა რიგით კი გადმოცემულია მრავალი კატეგორიის შინაარსი. აქ წარმოდგენილია დრო, კილო, მწკრივი, თემა, ასპექტი, პერფექტი, გვარი, ვერსია, პირიანობა, კაუზაცია, ასა-

ხულია ნაწილობრივი ერგატიული კონსტრუქციის მიკრო მორფოსინტაქსური მოდელი.

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების გარდა მესამე სერიაში წარმოდგენილია უნახაობის აქტიც. „ყველა ზმნა მესამე სერიის ფორმით წარმოადგენს უნახაობის აქტს“ [ჰარისი 1981:299]. თურმეობითებში დაჩრდილულია ვინ-კატეგორიის მოაზროვნე სუბიექტის როლი. მოქმედება არ არის ისეთი კონკრეტული და კატეგორიული თურმეობითის ფორმებში, როგორც ეს გვაქვს ერგატიული კონსტრუქციით გადმოცემულ აორისტში. სუბიექტისთვის, რომელიც არ არის ზმნური აქტის ნათელი, გააზრებული მონაწილე, თურმეობითობის არაკატეგორული სემანტიკა წარმოქმნის შესაბამის ენობრივ საფუძველს და ასეთი მორფოსემანტიკა ფორმდება ერგატიული დატივით. ეს კი, თავის მხრივ, ხდება დამატებითი მიზეზი ინვერსიის მოვლენის განვითარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში ირიბი ობიექტი ზმნური მორფოლოგიის გარეთ რჩება და თვის-თანდებულისანი ფორმებითაა წარმოდგენილი. ეს აქტანტი დიაქრონიულად არის სტატიკური ზმნების ფორმიდან კონვერსირებული სუბიექტი [შანიძე 1980]. მესამე სერიის ფორმათა კონკრეტულ ისტორიულ ანალიზს მივყავართ პროცესის სწორ გააზრებამდე. მესამე სერიის ფორმათა წარმოებისას ირიბი ობიექტი ხდება სუბიექტი და ეს ასევე ნაწილობრივ ახსნის ინვერსიის მოვლენას. მაგრამ დღეს ეს ფორმები უკვე დაცლებულია თავის პირვანდელ სახეს პარადიგმატულად და სინტაგმატურად [მელიქიშვილი 2000:21-31]. უღლებსას ეს ფორმები არის პირველი და მეორე სერიის საოპოზიციო ფორმები. ისინი საკმაოდ დაშორებულია ორიგინალური, სტატიკური ზმნების სემანტიკას და ახლა ისინი ახლებურად მოქმედებენ თანამედროვე სემანტიკის ფარგლებში. ჩნდება ახალი ირიბი ობიექტი, რომელიც არის ერთადერთი ლეგალური ირიბი ობიექტი ამ ზმნათა პირველ და მეორე სერიებში. მესამე სერიაში კი გვაქვს ისტორიული ირიბი ობიექტი თავისი ორიგინალური მარკერებით – მიცემით ბრუნვაში. ეს არის დატიური აქტანტი – ახალი სუბიექტი. ზმნა არ იღებს ორ ირიბს ერთ ფორმაში და ამიტომაც ახალი ირიბი ობიექტი გადის ზმნის გარეთ. ვიღებთ თვის-თანდებულისანი ფორმის უბრალო დამატებას, სადაც შენარჩუნებულია ყოფილი ირიბი ობიექტის პოსესიურ-დესტინაციური სემანტიკა. არაპოლიპერსონალურ ენებში ეს აქტანტი იგივე შინაარსის მქონე არგუმენტად დარჩებოდა, მაგრამ პოლიპერსონალური სისტემის ზმნური მორფოლოგიისთვის ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში არის ზმნები ორი ირიბი ობიექტით, მაგალითად:



მიჭმია (მან მე მას ის)

მისმია (მან მე მას ის)

მაგრამ ეს სულ სხვა კატეგორიის (კერძოდ, კაუზაციის) ფარგლებშია მოსალოდნელი და აქაც მხოლოდ ამ ორიდან ერთს (უახლოესს) აქვს მორფოლოგიური მარკირების უპირატესობა ზმნაში.

აღსანიშნავია, რომ ამ ხალი ირიბი ობიექტის გარეშეც (რომელიც ვერ ხვდება მესამე სერიის ზმნის მორფოლოგიურ სისტემაში) ვერსიის მარკირებას, ცხადია, ადგილი ჰქონდა იმ სტატიკურ ზმნებშიც, საიდანაც წარმოიშვა მესამე სერიის ფორმები. ეს იყო ჩვეულებრივი სახის ფუნქციური მარკირება. შესაძლოა იმის დაშვებაც, რომ ენას აელო ობიექტური ვერსიის კონკრეტული ფორმები მესამე სერიის საწარმოებლად. რა თქმა უნდა, მხოლოდ დიაქრონიული ანალიზი საკმარისი ვერ იქნება ახალი მორფო-სემანტიკის გასააზრებლად. ტენდენცია და რეალობა ასეთია, რომ ახალ ფორმებს აქვთ ახალი შინაარსი. თავის მხრივ, სტატიკურ ზმნებს დღესაც აქვთ ვერსიის ფორმები:

Ø წერია

უწერა

აწერია

სავარაუდოდ, პოსესიურ-დესტინაციური სემანტიკის გამოხატვის მოთხოვნის შესაბამისად, სტატიკური ზმნის ობიექტური ქცევის ფორმებისგან მოხდა მესამე სერიის ფორმათა ჩამოყალიბება. სავსებით გასაგები ჩანს ეს არჩევანი ქცევიან და უქცეო ფორმათა შორის. სინქრონულ დონეზე კი ირიბი ობიექტის გარეშე ეს ხმოვნები განიხილება როგორც უფუნქციო.

სტატიკური ფორმები:

ნეიტრალური ვერსია:

ახატია სურათი (S) კედელს (Oind.)

ობიექტური ვერსია:

უხატია სურათი (S) დედას (Oind.) კედელზე (O)

ობიექტური ვერსიის გარდამავალი ფორმები:

I სერია

(18) დედა (S) უხატავს სურათს (Od.) ქალს (Oind.) კედელზე (O)

II სერია

(19) დედამ (S) დაუხატა სურათი (Od.) ქალს (Oind.) კედელზე (O)

III სერია

დედას (S) დაუხატავს სურათი (Od.) ქალისთვის (O) კედელზე (O)

როგორც ვხედავთ, უღლების ყველა ფორმაში სივრცითი ობიექტი (კედელზე) გადმოსცემს ადგილს როგორც უბრალო დამატება.

მრავალ ენაში პერფექტის გადმოცემა ეფუძნება პოსესიურ ზმნებს [მელიქიშვილი 2002:121, ლომანი 1937:42-61]. ტიპოლოგიურად პერფექტული ფორმები გარკვეული პოსესიური სემანტიკის შემცველია (ინგლ. I have done – მე გავაკეთე/გაკეთებული მაქვს, She has painted – მან დახატა /მას დახატული აქვს და ა.შ.) და ამ სემანტიკას ქართული ზმნის პერფექტი მესამე სერიაში ვერსიის მარკერებით გადმოსცემს. ამ კუთხით ქართულში გვაქვს სინთეტური და ქონა-ყოლა ზმნით გადმოცემული ანალიტიკური პარალელური ფორმები:

(21) დაუწერია და დაწერილი აქვს

(22) გამიკეთებია და გაკეთებული მაქვს

(23) ამიშენებია და აშენებული მაქვს

დასასრულ, თურმეობითი ვერსიის მარკერების გამოჩენას აქვს ორი მნიშვნელოვანი მიზეზი: ზმნიდან გასული ირიბი ობიექტის პოსესიურ-დესტინაციური სემანტიკა და პერფექტის პოსესიური სემანტიკა. ასეთი კომბინირებული მიზეზი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ქცევის ეს ნიშნები არ ჩაითვალოს უფუნქციოდ.

საერთოდ, ქართული ზმნური მორფოლოგიისათვის ბუნებრივია პოსესიურ-დესტინაციური კონტენტის გადმოცემა ვერსიის კატეგორიის ფარგლებში და ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ასეთი სემანტიკის ასახვის მოთხოვნა დგება, ცხადია, შესაბამისი კატეგორიის (ვერსიის) მარკერებს გამოიყენებს ენა, რადგანაც უკვე აქვს კარგად ჩამოყალიბებული მორფოსემანტიკური მოდელი და უკვე არსებული სემანტიკური კონტენტისათვის აღარ დგება ახალი მარკერების შექმნის საკითხი. შესაბამისად, ასეთი სემანტიკის მორფოლოგიური მარკირება ეფუძნება ენაში არსებულ ზმნის პოსესიურ-დესტინაციურ მოდელს.

აღსანიშნავია, რომ ქართული ზმნების ხმოვანი პრეფიქსები პოლიფუნქციურია და სინთეტური სემანტიკით ხასიათდება. კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილია კონკრეტული მორფოლოგიური ფორმა და შინაარსი. ეს ფაქტი (რამდენიმე სხვა ფაქტთან ერთად) ქართულ ენას გამოყოფს მკაცრად აგლუტინაციური ენებიდან (თუმცა ზღვარი ფლექსიურ და აგლუტინაციურ ენათა შორის ყოველთვის არაა მკვეთრი). აკად. ა. შანიძე თავის გრამატიკაში წერს, რომ ზმნური ხმოვანპრეფიქსები ვნებით გვარში წარმოშობით ვერსიის ნიშნებია და აქ ქცევა და გვარი ერთი ნიშნითაა წარმოდგენილი [შანიძე 1980:323]. მაგრამ სხვა სპეციალისტები თვლიან, რომ ეს ხმოვანი პრეფიქსები მხოლოდ ვერსიის ნიშნებია [ნებიერიძე 1976:139]. გვარი და ქცევა რანგობრივად ერთ დონეზეა წარმოდგენილი ქართულ მორფოლოგიაში და ეს გარემოება ართულებს საბოლოო დასკვნის გაკე-

თებას პასივის ე- და ი- პრეფიქსებთან დაკავშირებით. თანამედროვე ქართულში გვაქვს პოლიფუნქციური ზმნური ხმოვნები პრეფიქსულ პოზიციაში და ამ პრეფიქსების ძირითადი ფუნქციაა ზმნის პირთა წარმოქმნა ან რედუცირება [მაჭავარიანი 1987, ჯორბენაძე 1983, დამენია 1982, ასათიანი 1987].

II თურმეობითსა და III კავშირებითში ე-პრეფიქსის გამოჩენა სულაც არაა შემთხვევითი მოვლენა. ეს არის რელაციური ხმოვანი, რომელიც მიჩნეულია ობიექტური ვერსიის მარკერად ვნებითი გვარის ფორმებში და მოიხსენიება როგორც ე. წ. „ე-ვერსიის“ ნიშანი [ბოდერი 2003:36]. ეს ფორმა უპირისპირდება ი-პრეფიქსიან აბსოლუტურ ანუ ერთპირიან ფორმებს, როგორც ოპოზიციური ცალი (იხ. მოდელი H). ამდენად, პრეფიქსი ე- ნათელი და გასაგები არჩევანია II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმებისათვის ამ ტიპის კომბინირებული სემანტიკის წარმოსაჩენად: ერთი მხრივ, არის პერფექტის პოსესიური სემანტიკა და მეორე მხრივ, – ყოფილი ირიბი ობიექტის პოსესიურ-დესტინაციური შინაარსი.

ყველა გარდამავალ ზმნას მესამე სერიაში ახასიათებს ინვერსია – პირის ნიშანთა დანიშნულების შეცვლა (როდესაც სუბიექტური პირის მარკირება ხდება ობიექტური პირის ნიშნებით და ობიექტი კი გადმოცემულია სუბიექტური პირის ნიშნებით).

#### და-მ(S)-ი-ხატ-ავ-ს(Od.)

მოცემულ ფორმაში პრეფიქსი მ- არის პირველი ობიექტური პირის მხოლოებითი რიცხვის ნიშანი, ამჯერად კი ის გადმოგვცემს მხოლოებითი რიცხვის პირველ სუბიექტურ პირს. -ს სუფიქსი მესამე სუბიექტური პირის მხოლოებითი რიცხვის ნიშანია, ამჯერად კი ის გადმოგვცემს მხოლოებითი რიცხვის მესამე ობიექტურ პირს. „ინვერსიის კანონი ეხება გარდამავალი ზმნის სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს“ [ჰარისი 1981:299]. „ინვერსიული კონსტრუქცია არის ობიექტწამოწეული წინადადებები და პასივები, სადაც ყოფილი პირდაპირი ობიექტი ხდება სუბიექტი“ [ჰარისი 1987:84]. ჩვენ ინვერსიის მოვლენას განვიხილავთ როგორც ობიექტის აქტუალიზაციას. ასეთი აქტუალიზაციის მოთხოვნა კი დგება ერგატიული კონსტრუქციიდან გამომდინარე. „მესამე სერია პირველი ორი სერიის შუალედური ვარიანტია, ერგატიულობის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, გვაქვს თემის ნიშნები, თუმცა არაობლივატორული, მეორე მხრივ, გვაქვს ერგატიული დატივი და პერფექტი. ეს ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი ერგატიული კონსტრუქცია. ენა ცდილობს, წინ წამოწიოს ობიექტის როლი და მნიშვნელობა და ამიტომ ჩნდება ინვერსიის მოვლენა. ჩვენი აზრით, ინვერსია აიხსნება მიმდინარე ერგატივიზაციის პროცესით. სწორედ ეს პროცესი არის ინვერსიის გამომწვევი გარემოება“ [მახარობლიძე 2010:142].

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში ადგილი აქვს ინვერსიულ პოსესიურობას.

#### 4. ვერსიის თავისებურებანი

„ქართული ზოგჯერ აღიწერება როგორც ‘ტოტალურად თავისებური’ ენა, სადაც ‘სუბიექტის’, ‘ობიექტისა’ და ‘ირიბი ობიექტის’ ცნებებს არა აქვთ ცალსახა შესაბამისობა“ [ჰარისი 1981:01]. რა თქმა უნდა, სხვა ქართული ზმნური კატეგორიების მსგავსად ვერსიასაც გააჩნია თავისებური ფორმები. ზოგადად, ენებში წესს ყოველთვის აქვს გამოწვევა. ასეთი გამოწვევები წარმოადგენს ასიმეტრიებს ენობრივი სისტემის მიმართ. ქართულში ქცევის კატეგორიას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1. ქცევის კატეგორიის მიხედვით სხვაობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა შორის სისტემურია:

A. ქართულში მხოლოდ გარდამავალი ანუ მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ ვერსიის სამგამზომილებიანი მოდელი. გარდაუვალი ზმნები კი მხოლოდ ორგანზომილებიან მოდელში თავსდება, რადგან აქ გამორიცხულია სათავისო ანუ სასუბიექტო ქცევა. ეს სისტემური და პრინციპული ხასიათის სხვაობაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართულში (და, საერთოდ, ქართველურში) სამგანზომილებიანი მოდელის მეორადობას (იხ. მოდელი D).

B. დინამიკურ ვნებითში ვერსიის მარკირება განსხვავებულია გარდამავალი ზმნის ფორმებისგან [შანიძე 1980:341]. ნეიტრალური ფორმებისთვის ი- პრეფიქსი გვაქვს ერთპირიან ფორმებში (ვ-ი-მალეები, ვ-ი-პარები, ვ-ი-ფარები). ამ ფორმებს ხშირად რეფლექსურობის გაგებაც მოეპოვებათ სათავისო ქცევის შესაბამისი შინაარსით. პრეფიქსი ე- ობიექტური ვერსიის მარკირება და ინიან ფორმებთან შესაბამის საოპოზიციო ცალებს წარმოქმნის (ვ-ე-მალეები, ვ-ე-პარები, ვ-ე-ფარები).

2. ქართულ ენაში არის ქცევის კატეგორიის მიხედვით ფორმანაკლები ზმნები. ასეთი ზმნები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

A. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლებობა ერთი მწკრივის შიგნით საოპოზიციო ცალებში, მაგალითად: გვაქვს ვაცნობ – ვიცნობ და არა გვაქვს სასხვისო ფორმა – ვუცნობ\*. (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ეს ქცევის რეფერენტების ფორმალურ მხარეს არ ეხება).

B. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა უღლების პარადიგმების მიხედვით, მაგალითად: გვაქვს სტატიკურ ზმნათა ოპოზიცია – „წერია“ /“უწერია“, რომელთაც მეორე სერიაში „ეწერა“ შეესაბამება ორივე შემთხვევისათვის. ასევე კარგავენ ქცევის გაგებას სამპირიანი ზმნები მესამე სერიაში. ყველგან, სადაც ქცევა გამოდის წმინდა ფლექსიური დატვირთვით, იკარგება პოსესიურ-დესტინაციური შინაარსი.

3. ზოგჯერ ზმნაში ორი ირიბი ობიექტური პირია მოცემული. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორივე გამოიხატება ზმნაში.

A. ზოგჯერ გვხვდება ორი ირიბი ობიექტი გარდაუვალ ზმნებში – ვნებითში: მიცვია (მე მას ის), მიმეპყარ (შენ მე მას), საშუალოში: მიმიდევს (მე მას ის), მიტკივა (მე მას ის). ამ ორიდან ერთი აუცილებლად პოსესორი ანუ მფლობელი ობიექტია და მას ალტერნატიული აღწერითი სინტაქსური კონსტრუქციაც მოეპოვება შესამაბისი ორპირიანი ზმნის ფორმითა და პოსესორი ობიექტის დატვირთვით ან გენეტიურ-პოსესიური ბრუნვით ზმნის გარეთ, მაგალითად:

(25) მიცვია მე ცოლს კაბა.

(26) ჩემს ცოლს კაბა აცვია.

B. ორი ირიბი ობიექტი გარდამავალ ზმნებში აყალიბებს ოთხპირიან ფორმებს: მიმიწერა (მან მე მას ის), მიმიხატა (მან მე მას ის), ასეთ დროს უფრო ხშირად კაუზატიური ფორმებია გამოყენებული: გამიკეთებინე (შენ მე მას ის), დამიხატვინე (შენ მე მას ის). ასეთი ფორმები, გამონაკლისის გარეშე, სასხვისო ქცევის ფორმებია.

მეორე ირიბი ობიექტის შემოყვანას ზმნაში ორი გზა და მიზანი აქვს:

1. ან კაუზაციას სჭირდება შემსრულებელი ობიექტის შემოყვანა,  
2. ან პოსესიურ-ბენეფაქტიურ სემანტიკას უნდა გაესვას ხაზი. როგორც აღვნიშნეთ, ორირიბიანი ფორმები ძირითადად სასხვისოს სემანტიკით იტვირთება.

4. არსებობს პოლისემიური ფორმები, ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით. ენაში არის იშვიათი ზმნის ფორმები, სადაც პირდაპირი ობიექტი არის ცვალებადი და სათავისო ქცევის ფორმები შესაძლოა ობიექტური წყობის ზმნებშიც გვქონდეს. ასეთი ფორმები ზოგჯერ პოლისემიურია. დამიყენა (მან მე) – ეს არის სათავისო ქცევა პირცვალებადი პირდაპირი ობიექტით პარადიგმიდან და დამიყენა (მან მე მას) არის სასხვისო პირუცვლელი

მესამე პირის ირიბი ობიექტით:

- 27. დამიყენა მან მე // დამიყენა მან მე მას
- 28. დაგიყენა მან შენ // დაგიყენა მან შენ მას
- 29. დაიყენა მან ის // დაუყენა მან ის მას

როგორც ვხედავთ, პოლისემიურია დამიყენა/დაგიყენა ფორმები. როგორც წესი, სუბიექტური ვერსიის დროს ზმნაში მხოლოდ მესამე პირის პირდაპირი ობიექტი არის წარმოდგენილი. ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები იშვიათია და ასეთ ფორმებში რეფლექსური კონტენტი კარგად არ არის წარმორჩინებული. ამ დროს რეფლექსურობაზე ხაზგასასმელად გამოიყენება დამატებითი ფორმა „თავი“ მაგალითად:

- (30) დაიყენა თავი
- (31) იხატავს თავს
- (32) ილამაზებს თავს

კაუზაციასთან კავშირში რეფლექსურობა მოითხოვს დამატებით გამოხატვას პირველ და მეორე პირდაპირ ობიექტურ პირებთან. შეადარე ფორმები:

- (33) დაავიწყა (მან მას ის)
- (34) დაავიწყა (მან მას შენი თავი)
- (35) დაგავიწყა (მან შენ ჩემი თავი)
- (36) დამავიწყა (მან მე შენი თავი)

პირველი და მეორე პირის პირდაპირი ობიექტი ზმნაში შემოდის როგორც მესამე პირის ფორმა რეფლექსური ნაცვალსახელის („თავი“) მეშვეობით. ამ მოდელს ალტერნატივა არ გააჩნია თანამედროვე ქართულში. იშვიათია, როდესაც პირველი და მეორე პირის ფორმები არ იწარმოება მესამე პირის მოდელით. მესამე პირს კი შეიძლება ჰქონდეს არჩევანი:

- (37) დაავიწყა (მან მას ის)

ასევე შესაძლებელია, პირველი ორი პირის მსგავსად გაგრძელდეს პარადიგმა და იწარმოოს სიმეტრიული სისტემა (მხოლოდ სულიერი პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში):

- (38) დაავიწყა (მან მას მისი თავი)

პოლისემიური ფორმა „მოიკლა“ ერთ შემთხვევაში რეფლექსივის კონტენტს ასახავს ორპირიანი გარდამავალი ზმნის სუბიექტური ვერსიის ფორმით:

- (39) (მან) წყურვილი მოიკლა

და მეორე შემთხვევაში ის არის გარდაუვალი ზმნის ერთპირიანი ფორმა ვერსიის გარეშე:

- (40) ომში მოიკლა [დამენია 1982:106].

უქცეო ზმნები ეს ის ზმნებია, რომელთაც არ გააჩნით ქცევის გა-

გება [შანიძე 1980:345-346, ქავთარაძე 1954:245-292]. ასეთ ზმნებს, ფაქტობრივად, საოპოზიციო ცალები არ მოეპოვებათ და ქცევის შინაარსისაგან დაცლილნი არიან: უყვარს, აქვს, იცის, ახსოვს, ჰგონია, უჭირავს, სძულს და სხვ.

ამ ზმნებში ორი ჯგუფი გამოიყოფა:

A. უნიშნო ფორმები: ჰგონია, სწამს, სძულს, ჰქვია და სხვ. ამ ფორმებს არც ქცევის ნიშანი გააჩნიათ და არც ამ კატეგორიის შინაარსი.

B. ნიშნიანი ფორმები: იცის, უყვარს, აქვს, ახსოვს და ა. შ. ასეთ ზმნებს ქცევის ნიშანი მოეპოვებათ, მაგრამ არა აქვთ საოპოზიციო ცალები და, ამდენად, არც ქცევის გაგება არ გააჩნიათ. ვფიქრობთ, რომ უფუნქციო ნიშანი ზმნაში არ გაჩნდებოდა და ადგილი აქვს კატეგორიის ფორმობრივ ან ფუნქციურ ცვლილებებს. ამ აზრს ადასტურებს ზოგი ასეთი ზმნის ფორმებში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით აღდგენილი ქცევის საოპოზიციო ცალის ფორმა და ფუნქცია: ვიცი/იცი – მიხა/ხოხა (სვან.), მიჩქუ/უჩქუ (მეგრ.)

6. ზოგჯერ ვერსიის მარკერებს აქვთ საპირისპირო მნიშვნელობა.

A. სუბიექტურ პირის ნიშნებთან კომბინაციაში ი – პრეფიქსი სუბიექტური ვერსიის ნიშანია, ზოგჯერ იგი გამოდის როგორც ნეიტრალური ვერსიის ნიშანი ფორმებთან: ვიმალები, ვიცინი, ვიკივლე და ა.შ. რეფლექსურობის სემანტიკაა წარმოდგენილი ერთპირიან ფორმებში ვიმალები, ვიფარები, ილოცება, იწყევლება და სხვ. ასევე დეპონენსებთანაც რეფლექსივობის შინაარსს გადმოსცემენ ხმოვანპრეფიქსები – ეძინება, ეცინება და ა. შ. [შანიძე 1980:296, ჯორბენაძე 1983:99].

B. გარდაუვალ ზმნებში ე- პრეფიქსი ობიექტური ვერსიის ნიშანია: ვემალები, ვეფარები ტიპის ფორმებში ე- პრეფიქსი გვიჩვენებს კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის არსებობას [ჯორბენაძე 1983:18]. მაგრამ დეპონენსებში ანუ განწყობის ვნებითებში არის ნეიტრალური ფორმები ყოველგვარი ირიბი ობიექტის გარეშე: ეცინება, ეტირება, ეძინება, ეწევა, და სხვ. [შანიძე 1980:296, ჯორბენაძე 1983:99, დამენია 1982:83-85].

7. ზოგი ზმნა წარმოქმნის ფორმალურ ოპოზიციას, მაგალითად, ვასმენ-ვისმენ-ვუსმენ ოპოზიცია გარეგნულად ისევე გამოიყურება როგორც ვაშენებ-ვიშენებ-ვუშენებ ოპოზიცია.

(41) ვასმენ (მე მას მას)

ეს არის სამპირიანი კაუზატიური ფორმა.

(42) ვისმენ (მე მას)

ეს არის ორპირიანი გარდამავალი ფორმა, სუბიექტური ვერსია, რომელიც ხშირად გაგებულა როგორც ნეიტრალური ფორმა [ბოდერი 2003:37-38].

## (43) ვუსმენ (მე მას)

ეს არის ორპირიანი გარდაუვალი ფორმა, ობიექტური ვერსია, მაგრამ ამ ოპოზიციას უნდა ჰქონოდა ობიექტური ვერსიის სამპირიანი ვარიანტი. წარმოდგენილ ფორმას კი აქვს უფრო ინტროვერტული შინაარსი.

8. არის იშვიათი სამპირიანი ფორმები ე – პრეფიქსით:

(44) ე-დავ-ებ-ა

(45) ე-ხვეწ-ებ-ა

(46) ე-ვედრ-ებ-ა

(47) ე-სესხ-ა

ამ ფორმებს ვერსიის გაგება არა აქვთ [დამენია 1982:85].

9. სტატიკურ ვნებითში ზოგჯერ ე – პრეფიქსი არის სუბიექტური და ობიექტური ქცევის ნიშანი მყოფადსა და აორისტში [ნებეირიძე 1976:142-143].

(48) ვ-ე-წერ-ებ-ი

(49) გ-ე-წერ-ებ-ი

(50) ვ-ე-წერ-ე

(51) გ-ე-წერ-ე

ფორმები ვ-ე-წერ-ებ-ი და ვ-ე-წერ-ე არის სუბიექტური ვერსიის ფორმები, ხოლო გ-ე-წერ-ებ-ი და გ-ე-წერ-ე არის ობიექტური ვერსიის ფორმები. აქ მხოლოდ პირის ნიშნები განასხვავებენ ქცევას, ისევე როგორც ეს გვაქვს ი – პრეფიქსის შემთხვევაში.

10. ზოგჯერ არის მხოლოდ სუბიექტური და ობიექტური ფორმების იშვიათი ზმნური ოპოზიცია სათანადო ნეიტრალური ფორმის გარეშე:

სუბიექტური ვერსია

(52) ამო-ი-სვამს წამალს ყელში

ობიექტური ვერსია

(53) ამო-უ-სვამს წამალს ყელში

ნეიტრალური ფორმები კი არ არსებობს [ჩიქობავა 1950:059].

მესამე სერიაში ხდება სხვადასხვა კატეგორიათა შეხვედრა, რაც პოლიფუნქციური ხმოვანი პრეფიქსებით ჯეროვნადაა გადმოცემული ზმნის მორფოლოგიაში. ეს პოლიფუნქციური აფიქსები კონკრეტულ სინთეტურ სემანტიკაზე მიუთითებენ.



### 5.ვერსიის კატეგორიის მოდელები ქართულში

ვერსიასთან დაკავშირებით დღეისთვის არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში. ქართული ტრადიციული სკოლის მიხედვით საზედაო არ განიხილება როგორც ქცევის საოპოზიციო ფორმა. იგი გააზრებულია როგორც დამოუკიდებელი კატეგორია თავისი საკუთარი ოპოზიციით.

(54) Ø-წერს – ნეიტრალური ვერსია

(55) ა-წერს – საზედაო


(56) Ø-ხატავს – ნეიტრალური ვერსია

(57) ა-ხატავს – საზედაო

ზოგი მეცნიერი საზედაოს მიაკუთვნებს ვერსიის ფორმებს [შანიძე 1926, დეეტერსი 1930, ფოგტი 1971, ტუიტი 2008, ჰარისი 1981, ჰიუტი 1995] და უწოდებს მას „ადგილის ანუ ლოკალურ ვერსიას“ [ფოგტი 1971]. ჰიუტი განასხვავებს ლოკალური ვერსიის ფორმებს ა – პრეფიქსიანი ნეიტრალური ვერსიის ფორმებისგან [ჰიუტი 2005:67]. ბოედერი წერს „საზედაო (ა-) უჩვენებს მდებარეობას ან მოქმედებას რამის ზედაპირზე [ბოედერი 2003:35]. 1930 წელს ა. შანიძემ შეიცვალა შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით და საზედაო ფორმები ამოიღო ქცევის კატეგორიიდან. ქართული ზმნებისთვის მან დატოვა კატეგორიის მხოლოდ სამგანზომილებიანი მოდელი (იხ. მოდელი E).

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საზედაო არის ვერსიის ფორმა, მაშინ გვექნება ვერსიის კატეგორიის შემდეგი მოდელი:

მოდელი A.



- 1. ნეიტრალური
- 2. ობიექტური
- 3. სუბიექტური
- 4. საზედაო

ეს მოდელი უმეტესად მიღებულია მათ მიერ, ვინც საზედაოს ქცევის ოპოზიციურ ცალად მიიჩნევს.


„ქცევა მხოლოდ კუთვნილებითს მხარეს გამოხატავს, განსხვავება სათავისოსა და სასხვისო ქცევების ფორმათა შორის მხოლოდ იმაშია, თუ ვის კუთვნილებას წარმოადგენს ნამოქმედარი ან მოქმედება: სუბიექტისას თუ ირიბი ობიექტისას“ [როგავა 1942:208]. „კუთვნილების აფიქსად ორსავე შემთხვევაში გვევლინება ი – პრეფიქსი... დიფე-

რენცირებულ კუთვნილებას ჰქმნის არა სხვადასხვა აფიქსი, არამედ ორსავე შემთხვევაში ერთი და იმავე კუთვნილებითი ი – აფიქსის სხვადასხვა პირთან დაკავშირება“ [როგავა 1942:208]. ი – პრეფიქსი დაკავშირებული უნდა იყოს რომელიმე კუთვნილებით ნაცვალსახელთან [როგავა 1942:211]. მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი მოდელის მიხედვით, ვერსიის კატეგორიას ვერ განვსაზღვრავთ როგორც მხოლოდ კუთვნილებით-დანისშულებით კატეგორიას. ის განსაზღვრება კი, რომ ვერსია უჩვენებს ზმნის პირთა შორის გარკვეულ ურთიერთ-მიმართებებს – საკმაოდ ბუნდოვანია. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერსია უჩვენებს ზმნის პირთა შორის პოსესიურ და სივრცით მიმართებებს. თუმცა ეს ორი კატეგორია (კუთვნილებითობა და სივრცითი კატეგორიები) სემანტიკურად განსხვავებული კატეგორიებია და შესაბამისად, განსხვავებული მორფოლოგიური სისტემებიც აქვთ ქართულში. თუკი ამ მოდელს მაინც დავეთანხებით, მაშინ პოსესიური და ლოკალური კატეგორიები ერთ ფორმატში გაერთიანდება. საგულისხმოა, რომ ქ. ლომთათიძის მიხედვით, სწორედ ასეთი კომბინაცია გვაქვს აფხაზურში. იგი აღნიშნავს, რომ ობიექტური ვერსიის სივრცითი ფორმები მორფოლოგიურად მარკირებულია, ზმნის მოქმედება ან სუბიექტი მიემართება ან ირიბი ობიექტისკენ ან მისგან გადის [ლომთათიძე 1047:145-417].

A მოდელში ა – მარკერი საერთოა ნეიტრალურისა და საზედაოს ოპოზიციური ფორმებისათვის. ერთი კატეგორიის შიგნით კი ამ ტიპის დამთხვევა მიუღებელია. ა. ჩიქობავას და ფ. ერთელიშვილის კვალდაკვალ [ჩიქობავა 1950; ერთელიშვილი 1965], თ. უთურგაიძეს მიაჩნია, რომ ა-ებ აფიქსური წარმოება წარმოშობით კაუზატიური ფორმებია და ა – პრეფიქსიც კაუზატიური ნიშანია [უთურგაიძე 2002:140-144]. დიაქრონიულად რასაც არ უნდა წარმოადგენდეს ა – პრეფიქსი, თანამედროვე ენობრივ სისტემაში ოპოზიციური ცალეების გასამიჯნი მარკერი ვერ იქნება ერთი და იგივე მორფემა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით, იმავე ტიპის მოვლენა გვაქვს ი – პრეფიქსთან დაკავშირებით. ეს პრეფიქსი საერთოა სუბიექტური და ობიექტური ქცევისთვის – პირველ და მეორე პირებთან (ამ ბოლო შემთხვევაში). მაგრამ აქ რეფერენტთა კომბინაციის დონეზე ხდება ოპოზიციის ცალეების მკვეთრი გამიჯვნა, შეადარე ფორმები ვ-ი-ხატ-ავ და გ-ი-ხატ-ავ.

მოდელი B.



ეს მოდელი ახლოსაა ამ კატეგორიის ქართულ ტრადიციულ გააზრებასთან, რომელიც გადმოცემულია E მოდელში. B მოდელი ეფუძნება ფორმალურ კლასიფიკაციას. აქ საზედაო, როგორც სუბ-ოპოზიცია, შედის ნეიტრალურ ვერსიაში ან ე. წ. ალუნიშნავ ვერსიაში, როგორც მას უწოდებს ვ. ბოედერი [ბოედერი 2003:37].

a. ნულოვანი პოსესიურობა არის ორი მარკერით გადმოცემული ვერსიის ალუნიშნავი ფორმა:

I. Ø –

(58) Ø – წერ-ს

(59) Ø-ხატ-ავ-ს

II. ა –

(60) ა-კეთ-ებ-ს

(61) ა-ფერად-ებ-ს

b. საზედაო როგორც ვერსიის ალუნიშნავი ფორმა ა – მარკერით:


(62) ა-წებ-ებ-ს

(63) ა-დ-ებ-ს

(64) ა-ხატ-ავ-ს

სხვაობა ნულოვან პოსესიურობასა და საზედაოს შორის შემდგომში მდგომარეობს: ნულოვანი პოსესიურობის ფორმები არის ორპირიანი ზმნები სუბიექტითა და პირდაპირი ობიექტით, ხოლო საზედაოს ფორმები არის სამპირიანი ფორმები სუბიექტით, პირდაპირი და ირიბი ობიექტებით,

## მოდელი C.



C მოდელი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება კატეგორიის შინაარსს, ანუ მის ფუნქციურ მხარეს. საზედაო გააზრებულია როგროც ირიბი ობიექტის სივრცითი კატეგორია. ობიექტიური ვერსიის დროს სუბიექტის მიერ შესრულებული ზმნის მოქმედება ორიენტირებულია ირიბი ობიექტისკენ. აქ კი გვაქვს ორი ტიპის ობიექტური ვერსია:


a. პოსესიური სემანტიკის ობიექტური ვერსია და

b. ობიექტიური ვერსიის საზედაო ფორმები სივრცითი მიმართებებით ირიბი ობიექტისკენ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მოდელში გვაქვს ირიბი ობიექტისკენ მიმართული ორი ტიპის ობიექტური ექსტრავერტული ვერსია: ერთი პოსესიური ვექტორით და მეორე კი – სივრცითი ვექტორით.

პრობლემა ის არის რომ ობიექტური ვერსიის მარკერი ა – ემთხვევა ნეიტრალური ვერსიის მარკერს და სხვაობა მხოლოდ ირიბი ობიექტის მიხედვით იკვეთება. მხოლოდ ზმნის პირიანობა განსაზღვრავს ამ ფორმათა სხვაობას – პირიანობა კი ყოველთვის არ არის ჯეროვნად ასახული ზმნის მორფოლოგიაში.

მოდელი D.



ეს მოდელი ოქროს შუალედივით გამოიყურება ორი განსხვავებული პოზიციისთვის. ერთი მხრივ, გათვალისწინებულია ის აზრი, რომ ნეიტრალური ვერსია არ არის ქცევის ფორმა [ჩიქობავა 1950, ერთელიშვილი 1965; მაჭავარიანი 2006], რამდენადაც აქ არ ხდება კატეგორიის სემანტიკის მარკირება. „როგორ შეიძლება არსებობდეს მორფოლოგიური მნიშვნელობა, თუ მას არა აქვს სათანადო გამომხატველობითი საშუალება?“ [ერთელიშვილი 1965:177] და მეორე მხრივ, „როგორ შეიძლება ა – (ან რომელიც არ უნდა იყოს) ფორმანტი იყოს იმის ნიშანი, რაც არის ზმნაში გამომხატული არ არის“ [ერთელიშვილი 1965:180]. ჩიქობავაც ამახვილებს ყურადღებას ამ გარემოებაზე, თუმცა მას მიაჩნია ნეიტრალური ვერსია ოპოზიციის წევრად კატეგორიის შიგნით. ის წერს, რომ მორფოლოგიური კატეგორიები ჩამოყალიბდა კონკრეტული აფიქსებით გადმოცემული მნიშვნელობებით [ჩიქობავა 1950:033]. ამრიგად, თუ ნეიტრალურ ფორმებში არ არის სპეციფიკური მნიშვნელობა და არ არის პოსესიური კონტენტი, მაშინ რას გადმოსცემს ა – პრეფიქსი? [ერთელიშვილი 1965:180]. სხვა სპეციალისტები კი თვლიან, რომ ნეიტრალური ვერსია ნულოვანი მარკირებით მორფოლოგიური ოპოზიციის გამართული და სრულფასოვანი წევრია [შანიძე 1980, მაჭავარიანი 1987, ჯორბენაძე 19183, კვაჭაძე 2001, ონიანი 2003]. ძნელია, არ დაეთანხმო ამ აზრს.

ვ. ბოედერმა წარმოადგინა ოპოზიცია ე. წ. აღნიშნულ და აღუნიშნავ ირიბ ობიექტებს შორის [ბოედერი 2003:36]. მოცემულ მოდელში ნულოვანი პოსესიურობა და საზედაო, როგორც აღუნიშნავი ფორმები, პირდაპირ პასუხობს ამ მიდგომას.

ზოგი მეცნიერი [ბოედერი 1968; ნებიერიძე 1976; მახარობლიძე 2007] განიხილავს სათავისო ქცევას, როგორც ვერსიის კერძო შემთხვევას და ამოსავალი ოპოზიცია არის ქცევიანი და უქცეო ანუ ნეიტრალური ფორმები. ეს მოვლენა დასტურდება სუბიექტური და ობიექტუ-

რი ვერსიის საერთო ი – პრეფიქსით.


ნეიტრალური ფორმები A ჯგუფში არის ნულოვანი პოსესიურობის ერთპირიანი ან ორპირიანი გარდამავალი ზმნები Ø – და ა – პრეფიქსებით.

B ჯგუფის ნეიტრალური ფორმები კი არის საზედაო ორპირიანი გარდაუვალი და სამპირიანი გარდამავალი ზმნები ა – პრეფიქსით.

C ჯგუფის ვერსიული ფორმები არის ექსტრავერტული პოსესიური ვექტორის მქონე ზმნები [მაჭავარიანი 1987:54] პირველი და მეორე ირიბი ობიექტური პირებისათვის ი – პრეფიქსით და უ – პრეფიქსით მესამე პირის ირიბ ობიექტთან, ხოლო ორპირიან დინამიკურ ვნებითებში ე – პრეფიქსით [შანიძე 1980:341].

D ჯგუფის ფორმები არის სუბიექტური ვერსიის ფორმები ინტროვერტული პოსესიური ვექტორით [მაჭავარიანი 1987:54]. ეს არის ორპირიანი გარდამავალი ზმნები მესამე პირის პირდაპირი ობიექტით. ვერსიის მარკერია ი – პრეფიქსი.

მოდელი E.




E მოდელი არის საზედაოს გარეშე და ქართველ მკვლევართა დიდ ნაწილს სწორედ ეს მოდელი მიაჩნია მართებულად ქართულისათვის. ამ აზრს იზიარებს ა. შანიძეც, რომელიც თვლის, რომ საზედაო არის სიტუაციის დამოუკიდებელი კატეგორია, რომელიც უჩვენებს ირიბი ობიექტის ლოკალიზაციას და აქვს გრამატიკული ფორმების თავისი შიდა ოპოზიცია, მაგ. წერს-აწერს, ხატავს-ახატავს და სხვ. ნიშნიანი ფორმები არის საზედაო [შანიძე 1980:373-376; კვაჭაძე 2001:329-240; ონიანი 2003:121-128; პაიჭაძე 1993:175-186].

E მოდელს შესაძლოა ჰქონდეს სხვა ვარიანტებიც, იმის მიხედვით ჩაითვლება თუ არა ნეიტრალური ვერსია ოპოზიციის სრულფასოვან წევრად.

ა. ჰარისი მართებულად აღნიშნავს: „ვერსია არის ირიბი ობიექტის კანონი“ [ჰარისი 1981:87]. ის არ განიხილავს სუბიექტურ ვერსიას ამ კატეგორიის ფარგლებში. მას ქცევა ესმის როგორც მხოლოდ ირიბი ობიექტის კატეგორია. „ქართულში არის რამდენიმე წესი, რომელიც

ეხება პირდაპირი და ირიბი ობიექტების ხელშეწყობას და ეს ტრადიციულად ცნობილია როგორც 'ვერსიის' კატეგორია“ [ჰარისი 1981:89]. ვერსიის მოდელი ჰარისის ნააზრევს მიხედვით [ჰარისი 1981:87-102]. ასე გამოიყურება:

მოდელი F.



1. ბენეფაქტივი 2. ვნებითის ვერსია 3. საზედაო

ამ მოდელში ყველა წევრს აქვს შიდა ოპოზიცია:

A. ფორმები წარმოდგენილია ვერსიის მარკერების მიხედვით და

B. ფორმები წარმოაჩენენ იმავე მნიშვნელობებს სინტაქსურად, მაგრამ ზმნური ფორმები არ არის ვერსიული ანუ აღუნიშნავია.

1. ბენეფაქტივი

(65) შე-კერ-ა

ეს არის აღუნიშნავი, უვერსიო ფორმა.

(66) შე-გ-ი-კერ-ა

ბენეფაქტიური ვერსიაა ი – მარკერით გადმოცემული.

2. ვნებითი გვარის ქცევა<sup>3</sup>

